საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №97
2017 წლის 28 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში (ვებგვერდი, 31.07.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) და ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის:

1. **პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ე) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის, საერთაშორისო ფორუმისათვის (ასამბლეა, სესია, სიმპოზიუმი, კონფერენცია და ა.შ.) და სპორტული შეჯიბრებისათვის შემოტანილი საქონელი (თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს ეს საქონელი რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში):“.

2. **„ე.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ე.ზ) სპორტული მანქანები, მოტოციკლები და მათი სათადარიგო ნაწილები; სპორტული საცურაო საშუალებები (ძრავიანი, იალქნიანი, ნიჩბიანი) და მათი სათადარიგო ნაწილები; სპორტული საფრენი საშუალებები (ძრავიანი და ძრავის გარეშე) და მათი სათადარიგო ნაწილები; სასტენდო და სხვა სპორტული იარაღი; სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის განკუთვნილი ინვენტარი და მოწყობილობა (მაგ.: ბურთები, ჩოგანი, მშვილდ-ისარი, თხილამურები, ციგურები, ციგები, სასრიალო დაფა და ა.შ.), სპორტული ფორმა და სპორტსმენის სპეციალური აღჭურვილობა;“;

3. **„ე.მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ნ“ და „ე.ო“ ქვეპუნქტები**:

„ე.ნ) მუსიკალური ინსტრუმენტები, საკონცერტო და სასცენო დეკორაციები, განათებისა და სხვა მოწყობილობები;

ე.ო) საორგანიზაციო და სადემონსტრაციო მასალა და მოწყობილობები (მაგ:. კომპიუტერული ტექნიკა, დაფები და სხვა ანალოგიური საქონელი).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**